

### დამატებითი სერვისის „Amediateka“ პირობები

1. დამატებითი სერვისის „**Amediateka**“ აქტივაციისას აბონენტი მიიღებს წვდომას „**Amediateka**“-ს კატალოგთან და შეძლებს მასში განთავსებული ფილმების და სერიალების ყურებას ულიმიტოდ (ამასთან, ფილმების და სერიალების გადმოწერა/შენახვა არ იქნება შესაძლებელი);
2. „**Amediateka**“-ს აქტივაცია შესაძლებელია მოხდეს შემდეგი გზით:
  - 2.1. სილქ ტვ მენიუდან, „**Amediateka**“-ს პინ კოდის შეყვანით;
  - 2.2. მომსახურების ცენტრის მიერ იდენტიფიცირების გავლით;
  - 2.3. თვითმომსახურების ონლაინ პორტალის **mysilknet.com** მეშვეობით.
3. „**Amediateka**“-ს გააქტიურების მსურველი პირი, რომელიც უკვე სარგებლობს სილქ ტვ-ის მომსახურებით (ან კომბინაციით/სპეციალური შეთავაზებით, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს), სერვისსს გააქტიურებას შეძლებს მე-2 პუნქტში აღწერილი აქტივაციის ერთ-ერთი მეთოდით;
4. „**Amediateka**“-ს გააქტიურების მსურველი პირი, რომელიც არ სარგებლობს ტელევიზიით, თავდაპირველად უნდა დარეგისტრირდეს სილქ ტვ-ის მომსახურებაზე (ან კომბინაცია/სპეციალური შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს) და სილქ ტვ მომსახურების ინსტალაციის შემდეგ გააქტიუროს სერვისი მე-2 პუნქტში აღწერილი აქტივაციის ერთ-ერთი მეთოდით;
5. „**Amediateka**“-ს აქტივაციისათვის აუცილებელია სილქ ტვ მომსახურება იყოს აქტიური (არ იყოს შეზღუდული/შეჩერებული);
6. „**Amediateka**“-ს დეაქტივაცია ხდება სილქ ტვ-ის მენიუდან - ჩემი ინფო, მომსახურების ცენტრებიდან და თვითმომსახურების ონლაინ პორტალიდან **mysilknet.com**.
7. „**Amediateka**“-ს ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა ხორციელდება სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომერზე (სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ანალოგიურად), ხოლო გადახდა მოხდება სილქ ტვ მომსახურების ყოველთვიურ სააბონენტო გადასახდელთან ერთად;
8. სერვისის შეზღუდვა ხდება სილქ ტვ პირობების შესაბამისად;
9. დამატებითი სერვისის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს **3 (სამი) ლარს**.